№ 13 იანვარი 18, პარასკევი 1891 იანვარი 18, პარასკევი № 13

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 40 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ო. გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ა. ი. ფიურერის ცირკი

18 იანვარს გამართული იქნება დიდი წარმოდგენა საუკეთესო პანტომიმითურთ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ბენიამინო, სიჩოვი, ვილიამსი, კლოუნები სერჟი, ლეონსი და სხ. მზადდება წარმოსადგენად ახალი ისტორიული პანტომიმა — ტარას ბულბა.

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მეტად დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

არშაკუნოვის სახლების დიდს დარბაზში
კვირას, 20 იანვარს,
ა. ქ. ნებიერიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება:

I

## მაჭანკალი

კომ. 2 მოქმ. თხზ. ილია ჭავჭავაძისა.

II

### საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

გრ. სუნდუკიანცისა.

III

ქართველ მომღერალთა ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ნაციონალურს ხმას ბ-ნ რატილის დირიჟორობით.

IV

პროფესორი მაგიისა—სპირიტი ბ-ნი მაცევი წარმოადგენს „მოჯადოებულს ქვეყანას“

V

დასასრულ იქნება მასკარადი; ლეკური და ჩაჩნური ცეკვა: მოწვეულია საზანდარი ჭაშირა და სამხედრო მუსიკა.

არშაკუნოვის სახლების დიდი დარბაზები ამ დანიშნულ საღამოსათვის ნაქირავები აქვს მობენეფისეს და განკარგულებას მიმცემიც ის იქნება.

ვინც თეატრში აიღებს მანათიანს და მეტის ფასის ბილეთს ნება აქვს მასკარადში შესვლისა; დანარჩენებმა თეატრის ბილეთში მიცემული ფასი უნდა შეავსონ ერთს მანათამდე.

დაწვრილებით აფიშებშია.
გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

## ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს,

ბენეფისი ქალ. ლ. გუნიასი.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

I

ახალი პიესა

რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები!

კომედ. 2 მოქმედ.

II

მეხუთე მოქმედება შილერის ტრაგედიიდამ

## ავაზაკები

III

პუტიანობა

ვოდევილი 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზე

ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთ შეკრებილება ამით აცხადებს, რომ უმართებულესის სენატის დეპარტამენტ გეროლდიისა უქაზის ძალით 26 ნოემბრის 1890 წელსა № 6735 იგი შეუდგება მინგრელიის მკვიდრთა თავადთა და აზნაურთა ღირსებათა განხილვას, იმის გამო მოუწოდებს ყველა მსურველს, რათა მათ წარმოადგინონ თვისი ამ საგანზედ სიმართლენი. (3—2)

ტფილისი, 17 იანვარი

როგორც ამას წინად მოვიხსენეთ, მემამულე ყოველის გზითა და ღონის-ძიებით უნდა ეცადოს, რომ ფილოქსერა ვენახში არ შეეპაროს, მაგრამ თუ მაინცა და მაინც ეს უბედურება კაცს თავზე დაატყდა, მხნე, გამჭრიახი და მცოდნე კაცი არც ამას შეუშინდება. ფილოქსერა მიწის ქვეშ არის დაბუდებული და ყოველს ძირკვსა და ფესვზეა მოდებული, მის მოსასპობელს წამალსაც იმ გვარი თვისება უნდა ჰქონდეს, რომ მიწის ყოველს ნაწილს თანაბრად გაუჯდეს და უწამლოდ არ დარჩეს არც ერთი ხელის ტოლა ადგილიც. თუ რომელსამე ფესვს წამალი არ მოხვდა, მაშინ იმ ფესვზე ფილოქსერა დაუზიანებელი დარჩება და თავისებურს გამრავლებასაც არ დაიშლის. ამიტომ, მართალია ფილოქსერას ბევრგვარი წამალი ჰკლავს, როგორც მაგალითად, ნავთი, მაგრამ ნავთს ისეთი თვისება არა აქვს, რომ დედამიწის ქვეშ მთლად მოეფინოს და ყოველს ფესვს ერთნაირად მოჰხვდეს. დღემდე ამ გვარი თვისება აქვს შემჩნეული მარტო გოგირდის ნახშირმბადსა (сѣрнистый углеродъ). ეს სითხე ძლიერ საზარელის სუნის ნივთიერებაა, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ მეტად სწრაფად იქცევა ხოლმე გაზად, ფიცხლად ვრცელდება მიწაში. ამ წამალს ერთგვარის მაშინებით ავრცელებენ მიწაში ვაზის ძირკვების გარემემო და მით ჰხოცავენ ფილოქსერას.

გოგირდის ნაშხირმბადს ხმარობენ ფილოქსერიან ვენახების ანუ მთლად მოსასპობად, ან მოსარჩენად. ამ ჟამად ევროპის ზოგიერთს ადგილში და ალჟირში (ჩრდილოეთი აფრიკა), ფილოქსერიან ვენახების მოსპობას ამჯობინებენ მორჩენას. თვით ჩვენის კავკასიის საფილოქსერო კომიტეტიც-კი რჩეობდა ფილოქსერიან ვენახების მოსპობას შარშანდლამდე, მაგრამ ვენახების მოსპობით მაშინ შეიძლება ებრძოლოს კაცი ფილოქსერას, როდესაც ეს უკანასკნელი მწერი ძლიერ ნაკლებად არის გავრცელებული. მაგალითად, მთელს ქართლში ამ რამდენისამე წლის წინად მარტო ერთს ადგილას იყო აღმოჩენილი ფილოქსერა — ქალაქ ტფილისში სასტუმრო ლონდონის პატარა ბაღში. საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით, ეს ვენახი სრულიად მოსპობილ იქმნა. რომ არ მოესპოთ, იქნება აქამომდე ფილოქსერა მთელს ქართლსა და კახეთსაც მოსდებოდა: ერთის პატარა ვენახის მოსპობით ვინ იცის, იქნება მთელი ქართლ-კახეთი დაიხსნეს ფილოქსერისაგან.

თუ ახლა ქართლიდგან იმერეთში გადავალთ, სადაც, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, 38 სოფელშია დაბუდებული ფილოქსერა, აქ ფილოქსერის მოსპობა ვენახების ამოგდებით სრულიად შეუძლებელია. ვერა სახელმწიფო ხაზინა ამ გვარს ხარჯს ვერ აუვა და ვერ გაუძლებს. გარდა ამისა, დიდი განსხვავება არის ვენახის მორჩენასა და მოსპობას შორის. როდესაც ვენახს ვარჩენთ, მაშინ ცოტა თუ ბევრი ფილოქსერა მაინცა რჩება მოუკვლელი, ცოცხალი; მორჩენა იმით არის კარგი, რომ ფილოქსერის რიცხვი ძლიერ ცოტავდება, ცოტავდება იმ ზომამდე, რომ შეცოტავებული ფილოქსერა ვეღარას აკლებს ვაზს. თვით წამალიც, რადგანაც ნაკლებად იხმარება, არ ახმობს და არც აფუჭებს ვაზს.

ვენახის მოსპობას კიდევ ის აზრი აქვს, რომ მოსპობილ ვენახთან ერთიანად მოსპობილ იქმნას თვით ფილოქსერაც. ბევრი წამალი, რასაკვირველია, უფრო ძლიერ შეაცოტავებს ფილოქსერას, მაგრამ მინამ დედამიწაში ვაზის

# ფელეტონი

## მცირე შენიშვნა *)

საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ.

პირველ წერილში ვსთქვი, რომ სომხების ისტორიკოსები შეცდომით სთვლიან ჭოროხსა, ალისსა და მტკვარს თავიანთ მდინარეებადო. ვსთქვით ისიც, რომ ეს მდინარეები სომხეთისა-კი არა, არამედ იმ ერისა იყო, რომელიც მე-VII—V სს. ქრ. წინად არარატ-მასისს შორის მოსახლეობდაო. დღეს ამას უნდა დავუმატო კიდევ ორიოდე სიტყვა.

სომხის ძველი მწერლები არა თუ მარტო ხსენებულ მდინარეებს, არამედ ალაზნის ხეობასაც სომხისად სთვლიან. ხოლო ამ ხეობაში ადგილობრივი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელები სომხის გაელენასაც-კი არ გვაგონებენ. ეს სახელები წმინდა ქართულებია. აქ მოიპოვება მაგალითებრ წოდებანი მთა-ღელეთა: პაატას ღელე, წერეთლის ტახტი, წერეთლის წყალი (ბელაქანში), ღრმა ღელე, აზნაურის მთა, გურჯიდალი (ქართველის მთა) და სხ. ადგილთა და სოფელთა: საკანი, სოსკანი, ვერხიანი (ამ გვარივე სახელი ჰქვიან ერთ სოფელს თუშეთშიაც), ქარ-თალი (აგრეთვე ქარ-თალად ძველის ძველადგანვე იწოდებოდა არაგვის ხეობის სათავის ქვეყანა და დღესაც აქვე არის ამ წოდების სოფელიცა და მთაც), მამრეხი, სამუხი, მუხა-ხი და სხ. ამას გარდა აწინდელი ერი, მოფენილი მთელს ზაქათალის მაზრის არე-მარეზე, გარდა შიგა და შიგ ჩასახლებულ მონგოლია, ადერბეიჯანის თათართა და ლეკთა, ლაპარაკობს ქართულის ენით. რომ ძველადაც ამ ქვეყანაში ქართველებს უცხოვრიათ, ესა, გარდა ჩვენ მატიანეთა მოთხრობისა, მტკიცდება ახლად ნაპოვნ ქვის წარწერიდამაც. ეს იპოვნა შარშან პატივცემულმა მღ. მიხ. ყულოშვილმა „კასრი—საყდრის“ ნანგრევებში სოფელ კაკს.

საზოგადოდ მთელი ზაქათალის მაზრა მოფენილია მრავალ ეკკლესიებისა და ციხე-კოშკების ნანგრევებითა და ნაშთებით. არც ერთ ამ ნანგრევსა და ნაშთს არ ეტყობა სომხური ზედ-გავლენა და არც ჰქვიან სომხური სახელი. მაგ. ზოგს ჰქვიან „მათეს ყალა“, ზოგს „ქურმუხის საყდარი“, „თეთრი საყდარი“, „ჰანდრა-საყდარი“, „პარბაროჲ საყდარ“... საყდართა შორის მრავალი დაცულა თავის დიდებულის სახით, შესანიშნავის არხიტექტურით და ნახატებითა და წარწერებით. არც ერთზე ან სომხური წარწერა, ან სომხური წმინდანი არა ჰხატია. პირ-იქით სოფ. ბაზარის საყდარზე მოიპოვება ბერძნული წარწერაც-კი. აქვე ამ ოცის, ოცდა ათის წლის წინად აღმოჩნდა მიწაში დაფლული ზარი ქართულის ზედწარწერით, რომლიდგანაც სჩანს, რომ ეს ზარი შეუწირავს აქაურ ეკკლესიისთვის ლეონ მეფეს *).

თვით ის კასრის საყდარი, სადაც ზემორე ხსენებული ზედ-წარწერილი ქვა აღმოჩნდა, აუშენებია არჩილ მეფეს მე-VII საუკუნეში.

ქართლის-ცხოვრება იტყვის: «და დაჯდა არჩილ მეფე (არჩილ მეორე) წუქეთს (ასე იწოდებოდა ძველად ქურმუხის ხეობა) და აღაშენა კასრი. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიიბოძა ვახტანგ გორგასალს წუქეთი, და იყო მაშინ,—რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მთისათა,-სახელით აბუ ხვასრო; და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ქალაქი ნუხპატის (აწინდელი ნუხი და განუხი, პატარა ნუხი). ნუხპატელნი იყვნენ წარმართნი და მზეცის ბუნებისანი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“.

კასრი დღეს მინგრეულ-მონგრეულია. იგი აშენებული იყო თლილის ქვით კასრის საყდრის სერზედ. ჩემს ხსოვნაში მისი კედლები და თაღი ისევ კარგად იყო შენახული. საყდრისავე ეზოში არის მრავალი სასაფლაო და იქვე ერთი ქვიტკირის თაღით, ამოყვანილი, დიდი ქვევრი სამალავით. ქვევრის შესახებ ინგილონი მოგვითხრობენ შემდეგ ლეგენდას. სოფელი კაკი, რომელიც დაფენილია კასრის-საყდრის მთის ძირში, წინად ათას კომლოვანი ქალაქი ყოფილა. ყოველი კომლი თურმე შემოდგომით მიიტანდა თითო ჩაფ ღვინოს და ხსენებულს ქვევრში ჩაასხამდა. ასრე რომ გაივსებოდა ქვევრი, მას დაბეჭდავდნენ და კვირაცხოვლის ზედაშედ შეინახავდნენ. ამ დღეს-კი მთელი ქალაქის მცხოვრებლები შეიყრებოდნენ კასრს და წირვა-ლოცვას შემდეგ ახდიდნენ ამ ქვევრს და ერთად ძმურად ლხინს გაახალებდნენ.

აი ამ ეკკლესიის წინ, საფლავებსა ქვათა შორის, მღვ. ყულოშილმა იპოვნა ხსენებული ზედ-წარწერიანი ქვა. ეს ქვა რიყის ქვაა და საფლავის თავით ჩადგმული ყოფილა. წარწერა ამოკრილია ხუცურის ასო-მთავრულით. ასოები აქა-იქ გალეულა. რისგამო ზოგი სიტყვის ამოკითხვა ძლიერ გაძნელდა. ტექსტის აღსადგენად ხსენებული წარწერა პალეოგრაფიულის წესით გადმოვიღეთ ცალკე ქაღალდზე და ქალაქში გავასინჯეთ აგრეთვე დღეს ძველის ნაწერების ერთ უკეთესს წამკითხველთაგანს, ბ-ნ ექ. თაყაიშვილს. ამ გვარად თუმცა წარწერა წაკითხულ

*) იხ. „ივერია“ № 7.

*) ზარი დღეს ტფილისის მუზეუმში ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესვები მოსპობილი არ იქნება, მინამდე ფილოქსერას საკვებავი არ გამოელევა და, ერთი ფილოქსერაც რომ დარჩეს, მაინც კიდევ ძლიერ გამრავლდება სამერმისოდ. როდესაც ვენახის მოსპობას შეუდგებიან ხოლმე, მაშინ ჯერ ვაზებს მოსჭრიან და დასწვამენ და შემდეგ დანარჩენს ძირკვებს წამალს ბლომად უსხავენ მიწაში, რათა მით ფესვები გახმონ და დალპონ. წამალმაც რომ არ მოჰკლას ფილოქსერა, უთუოდ შიმშილით მაინც მოკვდება, რადგანაც ნაწამლი ძირკვი დალპება. მხოლოდ მარტო ამ გვარად შეიძლება ფილოქსერის სრულიად მოსპობა.

სამერმისოდ დადგენილია საფილოქსერო კომიტეტისაგან, რომ, თუ ვინიცობაა გორის მაზრაში ფილოქსერა სადმე აღმოჩნდა, ფილოქსერიანი ვენახი მოსპობილ იქმნას, რათა მით სხვა ვენახები გადაარჩინონ ამ საშინელს მტერს.

მკითხველებს უკვე მოვახსენეთ, რომ, როგორც მოსასპობლად, აგრეთვე მოსარჩენად ერთი და იგივე წამალი იხმარება—გოგირდის ნახშირმბადი (сѣрнистый углеродъ). მხოლოდ, მოსარჩენად ცოტა წამალს ჰხმარობენ ხოლმე, მოსასპობად-კი ერთი სამად და ერთი ოთხად მეტია საჭირო: ცოტა წამალი ჰკლავს მხოლოდ ფილოქსერას, ბევრი-კი ჰკლავს, როგორც ფილოქსერას, ისე თვით ვაზსაც.

როგორც ფილოქსერიანის ვენახის მორჩენას, აგრეთვე მისს მოსპობას დიდი სიფრთხილე, ცოდნა და მუყაითობა უნდა და ამის გამო გამოუცდელმა და უცოდინარმა კაცმა ამ ძნელს საქმეს სრულიად ხელი არ უნდა ახლოს და კანონით არც ნება აქვს ვისმეს ჯერ-ჯერობით, რადგანაც ამის მცოდნე მემამულენი ძლიერ ნაკლებად არიან ჩვენს საქართველოში. გარდა ამისა, მორჩენა ვენახისა იმითიც არის ძნელი საქმე, რომ წამალი (გოგირდის ნახშირმბადი) რუსეთში არ იშოვება და იძულებული ვართ საფრანგეთიდგან დავიბაროთ და ამის გამო, ძალიან გულითაც რომ მოვინდომოთ, ვერა მევენახე იმის ხარჯს ვერ გაუძლვება და ვერ აიტანს. აი სწორედ ამის გამო ჯერ-ჯერობით ფილოქსერიანის ვენახების წამლობა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯითა სწარმოებს, როგორც ახლა ზემო იმერეთის სოფლებში: აჯისუბანსა, ფუთსა და სვირში. გარდა ამისა, მეცნიერთაგან არის დამტკიცებული, რომ იმ გვარს ნიადაგში, რომელშიაც 75% ქვიშა ურევია, ფილოქსერა სრულიად ვერა სცოცხლობს თუმცა ვაზი-კი კარგადა გვარობს. სამხრეთს საფრანგეთში ბევრი იმ გვარი მამული არის, რომლის ნიადაგიც თითქმის წმინდა ქვიშაა. ეს მამულები სულ მთლად უნაყოფო მამულებად ითვლებოდა. ფილოქსერის გაჩენას შემდეგ-კი ფრანგებმა მშვენიერ ვენახებად გადააქციეს, სადაც ფილოქსერას ვერა გაუწყია-რა. ასე რომ ქვიშიანს ადგილებში ვენახების გაშენება იფარავს ვაზს ფილოქსერისაგან, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ გვარი მამულები იშვიათია. ზემო იმერეთში, ყირილის კიდეებზე, ბევრს ადგილას შეჰხვდება კაცი ქვიშიანს ადგილებს; ამ გვარ ადგილებს ვხედავთ აგრეთვე საჩხერისაგან. უმეტესი ნაწილი ამ ადგილებისა ცალიერი გდია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ იტყვის კაცი, რომ ეს ქვიშიანი მამულები სწორედ იმ თვისებას გამოიჩენს, როგორიც გამოიჩინა საფრანგეთში. ამის გამო, კარგი იქნება, რომ მთავრობამ ანუ კერძო კაცმა, სცადოს, ეს ქვიშიანი ადგილები რამდენად დაიფარავს ვენახს ფილოქსერისაგან.

არ. ფ—ლოვი

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 16 იანვარს, მორიგი კრება იყო კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა და განხილულ იქმნა სამეურნეო საზოგადოებისა და საბაღოსნო სკოლის 1891 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. ფულის ნაკლებულობის გამო სამეურნეო საბჭომ შემოიტანა წინადადება, რომ საბაღოსნო სკოლაში სწავლის ფასი 120 მან. 150 გავხადოთო. ამ წინადადებამ დიდი ბაასი გამოიწვია და, სამწუხაროდ, საზოგადოებამ ვერა წყარო ვერ ჰპოვა იმ 1800 მან. მოსაპოვებლად, რომელიც სკოლის ხარჯის შესავსებლად არის საჭირო და რომლის შედგენის იმედიც ამ 30 მან. მომატებითა ჰქონდათ. ამის გამო საზოგადოება იძულებულ შეიქმნა სწავლის ფასი მოემატებინა. შემდეგ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საბაღოსნო სკოლის ბაღი 2300 მან. მეტს შემოსავალს არ იძლევა. ამისათვის ამორჩეულ იქმნა კომისია იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ მოხერხდეს და რა ღონე იქმნას ხმარებული, რომ ბაღის შემოსავალმა სამერმისოდ იმატოს, სასწავლებელის აუცილებელი ხარჯი სულ ერთიან დაჰფაროს და სწავლის ფასის მომატებას იძულებულ აღარ ვიქმნეთო. გარდა ამისა ამორჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია საბაღოსნო სკოლაში შარშან მომხდარ ხარჯის შესამოწმებლად. ბოლოს კრების თავმჯდომარემ, ბ-ნმა კუჩაევმა, სთხოვა აგრონომს სტაროსელსკის, მომავალს კრებაზედ მოხსენება შემოიტანეთ და გვაცნობეთ, თქვენის აზრით როგორ უნდა გადაკეთდეს ეხლანდელი ყოველ თვიური საზოგადოების ჟურნალი, რომ უფრო უკეთესად ემსახუროს თავისს დანიშნულებასაო.

*** მეტად გათამამდნენ ტფილისში ყასბები. ორის თვის წინად გირვანქა საქონლის ხორცი შვიდ კაპეიკად იყიდებოდა ქალაქში, წარსულის წლის დეკემბერში კიდევ ერთი კაპეიკი მოუმატეს. ეხლა ამასაც აღარ დასჯერდნენ და დღეს გირვანქა ხორცი უკვე ცხრა კაპეიკად იყიდება. თუ ასე იარეს ამ ყაჭბატონებმა, ერთს დღეს ხორცი ისე გაძვირდება, რომ მხოლოდ ათი-ათასის თუმნის პატრონებს-ღა შეეძლოთ იმით ჩაგემრიელება პირისა და ღარიბ ხალხისთვის სრულიად ხელ-მიუწვდენელი იქნება.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს ბიბლიოგრაფიულს შენიშვნას „Русское Слово"-ს მეორე ნაწილის შესახებ საჭიროა დავურთოთ შემდეგი ცნობებიც: საკითხავს წიგნში, სხვათა ცვლილებათა გარდა, ორი სრულიად ახალი განყოფილებაა შეტანილი; 1) სასულიერო-სარწმუნოებრივი (отдѣлъ духовно-нравственный), რომელშიაც მოთავსებულია ოცამდის მოთხრობა და ლექსი სასულიერო შინაარსისა, ექვსი დიდი სურათი ძველისა და ახალის აღთქმის საღმრთო ისტორიიდგან, ამ სურათების დაწვრილებითი კითხვა (чтеніе рисунковъ) და აღწერა, შესაბამი საღმრთო მოთხრობანი, დაბადებისა და სახარების სიტყვით ნაამბობნი რუსულს ენაზედ, რუსის ბავშვის მოგონებანი, თუ როგორ იდღესასწაულა შობა, ნათლის ღება და შობა ქრისტესი. ამ განყოფილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამრევლო სკოლებისათვის. მეორე ახალი განყოფილება იპყრობს წერილობითს ამოცანებს (письменныя задачи), რომლის დანიშნულება არის შეასწავლოს ბავშვს პრაქტიკულად, მაგალითებით, რუსული მართლწერა, შეასვენებელ ნიშნების ხმარება და კანონიერი რუსული ლექსწყობილება.

*** საბაშიო: როგორც გავიგეთ, საბაშიო უკვე გაუყვიათ და გაუნაწილებიათ: ფონისა და გოლათუბნის მხარეები თვით აბაშიძეებს რგებიათ; ნებოძირისა და მოლითის მთა-ტყე ბ-ნ ხატისოვსა და ნაკაშიძეს დარჩენია; ჩდილისა, ზვარისა და ხარაგაულის ადგილ-მამულები—ერისთავებსა და ამილახვრებს; დეისისა და დიდ ვახანის მთა-ტყენი სახელმწიფოდ დარჩენილა. ამბობენ, ერთი მონაწილეთაგანი თანახმა არ გამხდარა ასეთის განაწილებისა და ამის გამო შესაძლებელია საბაშიო იძულებულ შეიქმნენ და წრეულს, გაზაფხულზედ, ხელ-ახლად გაანაწილონო.

*** ბათუმი: როგორც შევიტყეთ, ქობულეთის ნაწილის უფროსს ბ-ნს კაპიტანს გამაზოვს განუზრახავს ქობულეთში დააარსოს პირველ-დაწყებითი სოფლის სასწავლებელი, სადაც ბავშვებს ასწავლიან ქართულსა, თათრულსა და რუსულს ენას. ამ საქმის განსახორციელებლად უკვე შეუკრებიათ მცხოვრებთა შორის რამდენიმე ფული და ახლა ბათუმში აპირობენ ქართველ მაჰმადიანთა შორის ფულის მოკრებასავე ამავე საგნისათვის. იმედია, რომ ამ საკეთილო და სასარგებლო აზრისათვის არავინ დაიშურებს მცირეოდენს წვლილს, მით უმეტეს, რომ, თუ მართლა დაარსდა ეს სასწავლებელი, იგი პირველი სასწავლებელი იქნება მთელს ქობულეთში, სადაც შვიდი ათასამდე სული ადამიანი სცხოვრობს ყოველსავე განათლებასა და წერა-კითხვის შესწავლის საშუალებას მოკლებული. ბ-ნ გამაზოვის ამ აზრის განხორციელებას იქაურნი მკვიდრნი დიდის მოუთმენლობით მოელიან. კარგი იქნება, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც" მიჰხედოს ამ აზრს კერძო კაცისას და თავისის მხრივად მხარი დაუჭიროს, დაეხმაროს რითიმე და ეს აზრი, რამდენადაც შეუძლიან, უფრო ადვილად შესასრულებელი და განსახორციელებელი გაჰხადოს.

*** კავკავი: კავკავში წითელა ძლიერ გახშირებულია და საკმაოდ დიდს ზარალსაც იძლევა. წლევანდელი ზამთარი სწორედ ზამთრად ჩასათვლელი არ არის კავკავში; თოვლი ხეირიანი აღარ გვღირსა და დავგვანატრულა დღესასწაულებში მარხილით სეირნობას.

*** ოსეთი: ამ ჟამად ბარის ოსეთში მშვენიერი, თბილი დარებია; ნათლისღებას ისეთი თბილი და ცხარე მზე იდგა, რომ მარტიეით აატალახა გზები. საზოგადოდ წლევანდელი ზამთარი ბარის ოსეთში ჯერ-ჯერობით დასამდურებელი არ არის. ბარის ოსების ზოგზოგს სოფლებში მუცელა გაჩნდა და კიდეც აზარალებს ყმაწვილებს.

*** სოფ. ჯოკაეთი (შორაპნის მაზრა): გაზეთს „Кавказъ"-ს სწერენ, რომ ამ დღეებში აქ გლეხი იაგორ მოდებაძე და მისი და მარინე ავად გახდნენ ხუზარით (Сибирская язва). გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ იმათ რამდენისამე დღის წინად, ავადგახდომამდის, უჭამიათ ამავე ჭირით ავადმყოფის ხარის ხორცი და ეს გარემოება ყოფილა იმათის ავადგახდომის მიზეზი. ავადმყოფთ აღმოუჩინეს შესაფერი შემწეობა, დანარჩენი ხორცი-კი ავადმყოფის ხარისა ტყავითურთ დამარხეს მიწაში. ხოლო ამ ჭირის გავრცელების წინააღმდეგ ადგილობრივ სამკურნალო განყოფილების და

---

იქმნა, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვა საეჭვოდ დარჩა. წარწერა სიტყვა-სიტყვით ასეთია:

მიოხე...
თაეპასაშვილ ქრისტესიას
შესანდო შვილთა ჩემთა: იოანესი,
დავითისა... ბრძანოთ, თვით
მოგიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა
შინა...
ქესო ქრისტე,
მოიხსენე თინათინ სუფე-
ვითა შენითა ზე-სოფელსა
შენსა.

საეჭვო ამ წარწერაში არის სიტყვები: თაეპასაშვილი, რომელიც შეიძლება წაკითხულ იქმნას აგრეთვე თაელიაშვილი; აგრეთვე თინათინის მაგიერ ზოგი ასოს ნამტვრევების გამო შერმადინიც გამოდის. ბუნდად იკითხება აგრეთვე სიტყვები: ბრძანოთ, თვით.

ყველა ზემორე ჩამოთვლილი საბუთი ამტკიცებს, რომ აქ სომხის შორეული გავლენაც-კი არ ყოფილა—არა თუ ძველად, არამედ ქრისტიანობის დროსაც. არჩილისაგან აშენებულ ქალაქ ნუხპატის უბანს გიშში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი გიშელი, რომელსაც საქართველოს სასულიერო იეხარქიაში ღირსებით ეჭირა უკანასკნელი ადგილი (იხ. არჩილ მეფის სიგელი). „და იგი იყო მღვდელმთავარი წუქეთისა და შაკიხისა", ე. ი. დღევანდელ ქურმუხის ხეობისა და ნუხაღდაშის მაზრათა, სადაც, სხვათა შორის, უდები სცხოვრობენ, ის უდები, რომელნიც თავისს თავს მუდამ ქართველებად სთვლიან და არა უდებად და სომხებად.

მიუხედავად ამ გვარ საბუთებისა, სომხის ისტორიკოსები არა თუ ნუხის არე-მარეს, არამედ მის აქეთ თითქმის ას-ორასის ვერსის მანძილსაც ალაზნის ხეობისას სომხების სამეფოს ნაწილად ჰხადიან. ამ აზრს ამტკიცებდა, მაგ., პ—ნიანი ვითომდა ადგილობრივ სახელების სომხურ სიტყვებთან მონათესაობით. მაგრამ მისი ახსნა ისე უხდება საქმის ნამდვილს გარემოებას, როგორც ერთის რუსის ფილოლოგის მსჯელობა, რომ ბერძნული სიტყვა ზეფირ წარმოსდგა რუსულ სიტყვიდამ სევერიდამო და სომხის ქალაქი—მუში სიტყვიდამ მუჟიკიო.

ჩვენთვის თუმცა სულ ერთია, ძველად ვისი იყო ან ეს კუთხე ან ისა, ხოლო თუ აქ ვეხებით ამ გვარ საგნებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე შევიტყოთ. ამ გვარ საგნებზე მსჯელობის დროს კაცმა უნდა დაივიწყოს თავისი ჩამომავლობა და მიუკერძოებლად განსაჯოს გასარჩევი საგანი. მკვლევარმა, მაგ., უნდა იცოდეს, რომ შეიძლება სხვა ერის ქვეყნის ზოგიერთს სახელს მსგავსება ჰქონდეს უცხო გვარ-ტომის ენის სახელებთან, მაგრამ ამ მსგავსებით ისკი არ მტკიცდება, რომ ეს ორივე სიტყვა ანუ სახელი ერთსა და იმავე ერს დაურქმევია ამა თუ იმ ადგილისთვის. ასე რომ იყოს, ქართველებს რამოდენა სამშობლო გვექნებოდა: საფრანგეთის მეცსაც ჩვენ დავიჩემებდით, იტალიის კორინთასაც, სიცილიასაც და სხვ.-და-სხვ. თუ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა შორის მართლაც არის ზოგიერთი ვითომ „სომხური" ენის სიტყვა, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ამ გვარ სახელიანი ადგილი სომხეთის სამეფოს ნაწილი ყოფილიყოს, ეს იმიტომ, რომ სომხური ენა სავსეა ქართული ენის სიტყვებით. გატერიასი ტყუილად-კი არ ამბობს: „ქართულისა და სომხურ ენის შესწავლამ დამარწმუნა, რომ დიდი ნაწილი ქართულ სიტყვებისა და ყველა ფესვნი ამ ენისა ეკუთვნიან განსაკუთრებულს ქართულ ჯგუფსაო. თუ მრავალი რიცხვი ამ ფესვთა მოიპოვება სომხურშიაც, ეს იმას ამტკიცებსო, რომ სომხურს მიუღია ისინი ქართულისაგანაო, რომელიც ოდესმე დიდ-არმენიის უმეტეს ნაწილზედ უნდა ყოფილიყო გავრცელებულიო, სანამდე იქ არიელები მოვიდოდნენო. ამიტომაცაო, განაგრძობს იგივე სწავლული,—სომხურ გრამატიკის გამოქვეყნებამდე მე საჭიროდ ვცანი გამომერკვია, თუ რა ეკუთვნის ქართულ ენას, რადგან უამისოდ შედგენილი სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა სამეცნიერო საფუძველს და მეთოდსაო, სომხურს ძლიერ ბევრი სიტყვები შეუთვისებიაო ქართულის ენისა და აგრეთვე კავკასიის სხვა-და-სხვა ენისაგან და ამ ენებს სომხურ ენის სინტაქსზედ უმოქმედნიაო".

აი აქა აქვს საფუძველი და სათავე იმ გარემოებას, რომელსაც სტრაბონი აღნიშნავს და ამბობს, წინად არმენიაში რამდენსამე ენაზე ლაპარაკობდნენ და დღეს-კი მარტო ერთს, სომხურს ენაზე მეტყველობენ ყველა არარატ-მასისის ხალხნიო და აგრეთვე ჩვენ პირველ წერილის იმ შენიშვნისაც, როდესაც ვსთქვით, რომ ქართველების არარატ-მასისიდამ წამოსვლის შემდეგ სომხები გაბატონდნენ ამ ქვეყანაში და „მაგვარად სამარიტელთა" ადგილობრივად დაშთენილ ქართველ ერს შეელივნენ და შეილიეს იგინიო. ამ გვარს შელევას, უეჭველია, დიდი გავლენა ექმნებოდა თვით საზოგადო ენის შემუშავება-შექმნაშიაც.

ესომ

სამაზრო მმართველობის მიერ მიღებულია შესაფერი ზომები.

⁂ 17 ამ თვისას აქიმოვის ქუჩაზე ქვაბების მკალავს გიორგი სადუნიძეს გატეხილის ფანჯრიდგან მოჰპარეს ერთი ქვაბი და შალვარი, ღირებული სულ 4 მან. და 50 კ.

⁂ იანვრის 6 ღამით პოლიციის მეცხრე ნაწილში, ჯორჯაიანცის სახლიდგან, მოიპარა 10 მან. ღირებული სამოვარი ჯარის კაცად ნამყოფმა ბორის იაქშინმა. დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. 22 ქრისტეშობისთვეს ნაშუადღევის სამს საათზე თელავის საპატიმროდგან გაიქცა ერთი პატიმარი ოსეფა ხალითოვი, რომელსაც დეკემბრის 4-ს ოლქის სასამართლოს განჩინებით მიესაჯა ქურდობისა და სხვა-და-სხვა ავაზაკობისათვის სამი წლით „არესტანტების როტაში“ გაგზავნა.

საქმის ვითარების უფრო ნათლად დასახატავად მეტად არ მიმაჩნია აწერო საპატიმროს ზოგიერთი კერძო-წვლილი. საპატიმრო არის ძლიერ პატარა და ვიწრო თელავისათვის, მდებარეობს შუა ქალაქში, ბულვარის გვერდზე, მეფე ერეკლეს სახლის გალავანში; გარშემო ახვევია სასწავლებლები. საეირნო ეზო საპატიმროს სრულიად პაწაწკინტელა აქვს, პატიმარნი-კი ყოველთვის არიან 70—90 კაცამდე. ეს პაწაწა ეზო—რომელშიც „თავის კუდი არ მოტრიალდება“ შემოზღუდულია სიმაღლით ექვსის ადლის კედელ-გალავნით. ამ კედელშივე ჩატანებული აბანო საპატიმროსი, საპატიმროს მცველთა სადგური და კარგა მოზრდო საკუჭნაო, ანუ, როგორც აქ ეძახიან, „ჩიხჭაუზი“, რომელშიაც ინახება ფქვილი, ნავთი, შეშა და სხვა ხახავი, რომელიც დახურულია კრამიტით და ღმერთს მისთვის არ მიუცია არც ჭერი და არც ლამფა... ყოველ დღე შემოაქვსთ ტუსაღებს თითო დღის სამყოფი შეშა გარედგან. აქვე (საკუჭნაოში) ჭრიან და აქედგან მიაქვთ სამზარეულოში და სადაც საჭიროა. 22 დეკემბერს ნაშუადღევს, როცა საპატიმროს ზედამხედველი ბ-ნი ხახუტაშვილი და მისი თანაშემწე ბ-ნი მაღალაშვილი სადილის საჭმელად წავიდნენ და საპატიმროში დარჩა ერთი-ღა „სტოროჟი“, ორს საათზე რიგისამებრ გამოუშვა ორი ოთახის პატიმარნი სასეირნოდ. იქიდგან სამი მოკლე ვადით დაპატიმრებულნი გაიყვანა გარედ შეშის შემოსაზიდავად (შეშის დასაყრელად რასაკვირველია გაადო საკუჭნაოც), „სტოროჟი“ შეშის მზიდავთ ადევნებდა თვალყურს და მიჰყვებ-მოჰყვებოდა. როცა შეშის მზიდავნი—„სტოროჟით“ გარედ გავიდნენ, იმავე წუთში შევიდა შეუმჩნევლად საკუჭნაოში ოთხი ტუსაღი, რომელთაგან ორს (გოგუაძესა და არტემ თუმურაზოვს) ციმბირი აქვს მისაჯული, ერთს (აკოფა ქორ გიგინაშვილს) ორ წლიწად ნახევარი ციხე და მეოთხე ხალითოვისა, ზემოდაც მოვიხსენიეთ—სამი წლიწადი არესტანტების როტა—და გადასწყვიტეს გაქცევა. ამ საქმის შესასრულებლად მასალაც ხელთ ჰქონდათ: იქვე საკუჭნაოში ეგდო ერთი მოზდილი კიბე—ერთი ლომიც იპოვნეს იქვე, მიიდგეს კიბე საკუჭნაოს ჩრდილო-დასავლეთის კუნჭულში და აიღეს რამდენიმე კრამიტი ნაპირის კავისა და რადგანაც კავი დაჭედილი იყო და მიწვა გვერდზე შეუძლებელი გახდა, ამისათვის შეანგრიეს ლომით ლირსი (საყვავე) იმოდენად, რომ კაცი ატეულიყო კავსა და ლირსს შუა. აძვრა პირველად ოსეფა ხალითოვი და გადახტა. ამას მიჰყვა თემურაზოვი.

სტოროჟი და ტუსაღები შეშით რომ შემოვიდნენ, კარები გაიღო. გაქცეულ ტუსაღს კარის გაღებაზე თვალი მოჰკრა, რომ გაირბინა, ერთმა პატიმარმა და თუმცა, ცნობით ვერ იცნო, სახელდობრ ხალითოვი იყო თუ არა, მაინც მიაყვირა: „სად გარბიხარ, სად მიხვალო“. ამ დროს სტოროჟი, როგორაც ვსთქვით, ეზოში იყო შემოსული და, რადგანაც სუსტი სიმაგრე საკუჭნაო ეგონა, გაექანა იქით შიშით აკანკალებული. გოქშაძე და ქორ გიგინაშვილი გაიქცნენ ისევ საპატიმროში და არტემ თემურაზოვი, ნახვრეტად ხვრელში ამძვრალი, უკანვე ჩამოძვრა „არაქა ტუსაღი გაიქცა“-ს გაგონებაზე.

სტოროჟმა მიირბინა თუ არა კარებზე, არა მაზედ ნაკლებ შეშინებული და აკანკალებული თემურაზოვი შეეხება წინ: „რას აკეთებ, შე არამზადიშვილო შენა“ შესძახა სტოროჟმა და შეახლა ზემოდ, სადაც ნათლის სვეტივით ჩამომდგარიყო ცის სინათლე განგრეულის კრამიტ ლირსიდგან, დადგა საპატიმროში „ორომ-ტრიალი“ და აირია ერთმანეთში: „რამდენი გაიქცა“, „ვინ გაიქცა“, „საით გაიქცა“ და სხვ. პასუხი-კი ერთი იყო: ‹არ ვიცი›. მცველთა უფროსი რაზმითურთ გამოვარდა თოფებით ეზოში. „შევრეკოთ, დავითვალოთ, რამდენია გაქცეული და, ან ვინ არიანო“, უთხრა სტოროჟმა უნტერ-ოფიცერს. ამ დროს ამ რაზმიდგან გამოერჩა ოთხი მკვირცხლი იმერელი ჯარის-კაცი (საპატიმროს მცველი ადგილობრივი დრუჟინაა)—ალ. ჭიჭინაძე, არქიფო მასხარაძე ხარია ჯოხაძე და სვანიძე. დაავლეს თოფებს ხელი და დაეშვნენ სოფ. კურდღელაურისაკენ. ჩაირბინეს გვირაბის წყარო და გაიგეს ერთის წინ შემოხვედრილისაგან, რომ იმ გზაზედ ჩაურბინა გაქცეულს ხალითოვს. გამაღებული მდევარნი მისწვდნენ მოავლეს თვალი—ერთს მოსახვევში, სადაც მჭიდრო მოსახლეებით და ბაღებით არის გაშენებული და მერე ისევ დაეკარგათ ტუსაღი თვალიდგან. დარწმუნებულნი, რომ წინ ვერ გაგვასწრებდაო, სამი მათგანი შემოერტყა უბანს ალყად და ერთმა დაუარა ყველას საჩქაროდ. დიდის ხნის შრომაც აღარ დასჭირდათ: მივარდნენ ერთს საქათმოს, საიდანაც დაიწყო ღრიალი ოსეფა ხალითოვმა:

— კნიაზჯან! ნუ მამკლავთ, თქვენი ჭირიმე, ნუ მამკლავთ“!

— დედა! შენ რავა მოგკლავ—შე უბედურო, ცოდვით? კაჟკაცი საქათმოში შემძვრალხარო, უთხრა მკვირცხლმა იმერელმა და გამოათრია საქათმოდგან.

დაუჭირეს ყურები და ერთის საათს შემდეგ მიათრიეს საპატიმროშივე.

დასასრულ უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზე, რომ საპატიმროში არ არის არავითარი სახელოსნო, არ არის არავითარი ზნეობის გამასწორებელი და გასაწვრთნელი საშუალებანი, საპატიმროში მიდის მხოლოდ ორი გაზეთი: „ივერია“ და „მწყემსი“. საპატიმროს ბიბლიოთეკაში ორიოდე წიგნის მეტი არა არის-რა, იმათაც ზოგს თავი აკლია ზოგს ბოლო, ერთის სიტყვით შემწირველთ მოძულებული გაუმეტნიათ შესაწირავად. ამ ნაკლის გასასწორებლად არც საერო და არც სამღვდელო თავს არ იტკივებს და კომიტეტი ხომ იალბუზის ოდენზე უდგია შორს. ვინ იქნება ისეთი გულ-ქვავი წიგნთა დამბეჭდველი, რომ ერთი და ორი ცალი დაპყრობილთა პატიმართათვის არ გაიმეტოს. მაგრამ ყველას თხოვნა უნდა ჩვენში, ყველას ჩიჩინი და სწორედ ამ „მოჩიჩინეს“ როლის ამღები არავინ გახლავთ, თუ სახეში არ მივიღებთ შარშანწინდელს განცხადებას გაზეთში მ. მ. ხელაშვილისას, მაგრამ ეს განცხადებაც კაი ხანია რაც დაავიწყდა საზოგადოებას.

დღეს თელავის საპატიმროში ტუსაღი-კი არ სწორდება და იწვრთნება ხასიათით, არამედ ირყვნება და გადის გარედ დაოსტატებულ ავაზაკად და საზოგადოების მავნე და შემაწუხებელ ადამიანად.

მეორე, საჭიროა და ფრიად საჭირო ქალაქმა და საპატიმროთა კომიტეტმა იფიქროს და იზრუნოს საპატიმროს გაფართოებისათვის. აუცილებლად საჭიროა, რომ საპატიმრო ქალაქის რომელსამე განაპირა ადგილს გადიტანონ, სადაც პატიმარს ეზოც ჰქონდეს ფართო სულის მოსაბრუნებლად და საშუშაო და სახელოსნოც გაუჩინონ, როგორც ყველგან არის რუსეთის იმპერიაში. მართალია, ყველა ამისათვის ქალაქს ფული დასჭირდება დასახარჯავად, მაგრამ ავაზაკების გამრავლებას და ზნეობით დაცემას ფულის დახარჯვა ურჩევნიათ. საპატიმრო დღეს მეტად და მეტად ცუდს და უხერხულს ადგილზეა მოწყვედეული, ორს უმთავრესს სასწავლებელთა შორის, სახელდობრ „წმიდა ნინოს დედათა“ და სასულიერო სასწავლებლისა. იქვე გვერდზე აგრავს სომეხთა სამრევლო დედათა სასწავლებელიც, სადაც ყოველს ცისამარა დღეს არეულია ტუსაღები შეგირდებში, ქალაქისავე შვილებში, რომელნიც (შაგირდები) ტუსაღებისაგან გამრყვნელს და ზნეობის დამამცირებელს სიტყვების მეტს ვერას გაიგონებენ. სხვაფრივაც ძლიერ ცუდი გავლენა აქვს მოზარდს თაობაზე მუდამ დღე ტუსაღებში არევას, თუ ცოტად ღრმად ჩაუკვირდებით ამ საქმეს. მანამ-კი საჭიროა, როგორც მოხსენებული საკუჭნაოს ჭერის დაფარება და ლამფის მიკვრა, აგრეთვე აბანოს კარგად დატალახება და მიწის დაურა და სხვა შენობათა შემაგრება.

მოკვლე

## ლოენგრინი

დღეს, 18 იანვარს, ტფილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგენენ პირველად ვაგნერის შესანიშნავს ოპერას „ლოენგრინს“. აი მოკლედ შინაარსი ამ ოპერისა; გრაფი ფრიდრიხ ფონ-ტელ რამუნდი აბრალებს ბრაბანტის პრინცესა ელზას, რომ თავისი ძმა მოჰკლა და ცუდის ყოფა-ქცევისაც არისო. საქმე იმაშია, რომ ფრიდრიხს სდომებია მისი ცოლად შერთვა, პრინცესას უარი უთქვამს, ამაზე გრაფი გაგულისებულა და უნდა ტყუილის ბრალდებით გადუხადოს სამაგიერო პრინცესას, რომელიც თვით უმანკოებაა. სამსჯავრო თვითონაც ამჩნევს პრინცესას უდანაშაულობასა და უბრალოებას. მაგრამ ფრიდრიხი მაინც თხოულობს ესრედ-წოდებულის ღვთიურის განსამართლებით იქმნას გაბჭობილი მისი და პრინცესას საქმე. პრინცესა თანხმობას აცხადებს, რადგან იმედი აქვს, რომ გამართლდება მისი სიზმარი. სიზმარში ჰნახა პრინცესამ, რომ გამოეცხადა რაინდი, რომელიც ციდამ იყო ჩამოსული და სწორედ ახლა ის რაინდი გამოჰყვეს მფარველობასაო. მართლაც დანიშნულს დროს გაჩნდება რაინდი ლოენგრინი და გადის ხმალში ფრიდრიხის საწინააღმდეგოდ, ერევა, მაგრამ დიდ სულგრძელობის გამო აპატიებს სიცოცხლეს. ხმალში გასვლამდე-კი ლოენგრინმა პირობა ჩამოართვა პრინცესას, თუ გავიმარჯვე, ცოლად უნდა გამომყვე და ჩემი ჩამომავლობის ამბავი არ იკითხოვო. ინიშნება დღე ქორწინებისა, ფრიდრიხის მეუღლე ორტრუდა, დედაკაცი სავსე ბოროტებითა, აბრალებს თავს პრინცესა ელზას, რომელმაც ამის გამო შეიწყალა დამარცხებულის ცოლი და კვლავ დაუბრუნა ბრაბანტის სასახლეში წინანდელი ადგილი სეფე-ქალისა. ორტრუდაცა და ფრიდრიხიც, რომელსაც უნდა ჩაიგდოს როგორმე ხელში ტახტი ბრაბანტისა, ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, მოჰშალონ ქორწინება ლოენგრინისა და ელზასი. ბრძოლაში ფრიდრიხს მოჰკლავს ლოენგრინი, მაგრამ ორტრუდა ისე მოახერხებს, რომ ელზას ცნობის-მოყვარეობას გაუღვიძებს ლოენგრინის ჩამომავლობის შესახებ. ელზა ჰკითხავს ლოენგრინს ამ ჩამომავლობის ამბავს და მით არღვევს პირობას, რომელიც ხმალში გასვლამდე მისცა რაინდს. რაინდი ლოენგრინი ამის გამო სტოვებს ელზას და თან საჯაროდ აცხადებს კიდეც, ვინ არის და ან საიდამ მოსულა. ამბობს, რომ მე ვარ შვილი ღვთიურ რაინდების მეფისა—პარსიფალისა. გერმანულის ლეგენდით, არის ერთი მთა—Mantsacat. ამ მთაზე სდგას შარავანდედით მოსილი ციხე-დარბაზი, რომელშიაც დაცულია წმ. გრალი—თასი, სავსე მაცხოვრის სისხლითა. ამ თასს სდარაჯობენ წმინდა რაინდნი, რომელნიც ათასში ერთხელ ქვეყნადაც ჩამოდიან და მფარველობენ დაჩაგრულს უდანაშაულო ადამიანს. როცა შეიტყობენ, რომ ლოენგრინიც სწორედ ამისთანა ციური რაინდი ყოფილა, ყველანი დიდის რელიგიურის გრძნობით განიმსჭვალებიან და სთხოვენ წმინდანს დარჩეს ამ ქვეყნად. აქვე გამოცხადდება, რომ ძმა ელზასი სრულიად არავის არ მოუკლავს და იმყოფება სწორედ იმავე მთაზე, საცა სხვა წმინდა რაინდნი არიან. ამ დროს გაჩნდება თეთრი გედი, რომელმაც უნდა წაიყვანოს ლოენგრინი წმ. მთაზე, რადგან პირველადაც მანვე მოიყვანა. ლოენგრინი ლოცულობს, გედი წყალში ჰქრება და მის მაგიერ ამოდის წყლიდამ გოტფრიდი, ძმა ელზასი. გედის მაგიერ მოდის თეთრი მტრედი და მიჰქავს ლოენგრინი. გოტფრიდის დანახვაზე ორივე ქალი პიესისა იხოცებიან—ერთი ჯავრით (ორტრუდა), ხოლო მეორე სიხარულით (ელზა).

## ლეგენდა ახტალის შესახებ

—

ახტალა მდებარეობს სოფელ გურჯაანს, კახეთში, ცივ-გომბორ-სიღნაღის მთის დაქანებულსა და ჩაღრმავებულს კალთაზე. ახტალას კიდევ ვეძას ეძახიან. ეს ვეძა ანუ ახტალა რამდენსამე თვალად (აუზად) ამოჩუხჩუხებს. მიწის გულიდგან ამოდუღებული ტალახი ტყვიის ფერისაა და მრავალ გვარ სენს ჰკურნებს. ხალხში დარჩენილი ლეგენდა გვაცნობებს, რომ იქ, სადაც დღეს ახტალაა, ძველად კალო იყოო. ფერისცვალების დღეს ხუცესს ეს კალო ება და ძნასა ლეწავდა. ამ დროს ქრისტემ გამოიარა, ხუცესი დასწყევლა და მისი კალო და კარ-მიდამო ახტალად აქცია. მას შემდეგ ახტალის ამოდუღებულს ტალახს დედამიწის გულიდამ ამოაქვს ხან ნიჩაბი, ხან ზარი და სხ. აი თვით ლეგენდაც.

არალეთი, ზარალეთი,
ტაშირი და ქარამზეთი;
პირველ ღმერთმა გააჩინა
ნათლაა და მირონ-ზეთი.
სამწლიავ მესახირედ დადგა,
წიგნი დადო განა ერთი;
ფერისცვალობას ხუცესი
კალოს ლეწავს არუშეთი.
მოვიდა და ჰკითხავს ამბავს:
— თურმე იყო ქრისტე ღმერთი:—
— ეგ რა არის, ბერი-კაცო?
— პური არის, განა ფეტვი!
დასწყევლა და ჩაამძრინა,
ჯვარაც მოდის დანაშრეტი;
ახტალა ამოადინა,
ნაცარ-ტუტა მეტის-მეტი.
ხან ზარი ამოკარდება,
ხან ნიჩაბი, მეხის კეტი;
არ მიკვირდა სპილენძისგან,
არ დამწვარა სახლის სვეტი.

—

სამმობლოთას მიდის ქალი,
წინ მიუძღვის პური, ღვინო,
ზატკანი და ერთი ზატი;
ხელში უჭირავს ყმაწვილი,
ანგელოზია, თუ ხატი.
— „გასწი, ქალო, გაიარე,
უკან აღარ მოიხედო:
ძმით შეიქმენ განაწყვეტი“.
მობრუნდა, იქავ გაქვავდა,
ჯვარაც მოდის დანაშრეტი.
ქალს ქმარ-მაზლნი მოუვიდნენ
წასაყვანად, მეტად კარგნი.
მივიდა, ქმარმა დაჰხედა,
დაჰხედა დამწვარ-დანაშრეტი.
ქმარმა თავი ზედ მაიკლა,
რაღად მინდა ამის მეტი;
გადავიდა სამოთხეში,
დაამტვრია ჯოჯოხეთი.

ეს ლეგენდა გავიგონე სოფელ საგარეჯოს მცხოვრების მოხუცის იაკობ გულისაშვილისაგან.

ტარასი

## რუსეთი

—

„Кіевлянинъ“-ის მიმოხილვა 1890 წ.

(დასასრული *)

ლიბერალები არ გამწყდარან, სრულიად არ აღგვილან, მაგრამ ღმერთო ჩემო, რამდენი უბედურება ჰხვდათ წილად, რა ნაირად შეფეხდნენ და შეუთხელდათ თავიანთი რაზმი. მათის ძლიერისა და ერთმანეთის მომხრე ჟურნალ-გაზეთებიდგან მხოლოდ ერთი „Вѣстникъ Европы“-ღა დარჩა. ეხლაც ბევრი მკითხველი ჰყავს ამ ჟურნალსა, ძლიერ გავრცელებულია, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ლიბერალური ჟურნალი იყოს, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ იმ თავით დიდი ღვაწლი მიუძღვის. სტასიულევიჩს, რომელიც თავისს 25 წლის პუბლიცისტობას დღესასწაულობს, ეხლა რომ მოენდომებინა ახალის ჟურნალის დაარსება, „Вѣст. Евр.“-ას-კი არა, მის მსგავსა და ცოტაოდნად მაინც მინაგვარსაც-კი ველარას შეჰქმნიდა. ამ ახალს ჟურნალს აღარც ღირსეული მწერლები აღმოუჩნდებოდა და აღარც მკითხველები. ლიბერალური აზრები ზოგგან შეიმუსრა, გაქარწყლდა და ზოგგან-კი მხოლოდ ფერი იცვალა. შემუსვრის მიზეზი თვით ლიბერალიზმის ხასიათი—პირ-

*) იხ. „ივერია“ № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირობაა და იმ ნიადაგის სიმწირე, რომელზედაც იგი ინერგებოდა და ითესებოდა. დიდი თავისუფლება და თვითმოქმედება საზოგადოებისა, რასაც ლიბერალიზმი თხოულობს, მართალია დიდად პატივსაცემი საგანია, ღირსია თანაგრძნობისა, მაგრამ ამას გარდა ცხოვრებაში ბევრიც სხვაა საზრუნველი და გასაკეთებელი. თავისუფლებისა და თვით მოქმედებისათვის საჭიროა უნარი, რომ რიგიანად მოიხმარონ, ძლიერი ღონე, შემუშავებული, მტკიცე ხასიათი, დიდი განათლება, განცხოველებული მოძრაობა და შრომა საზოგადოებისა, ხოლო ყოველივე ეს ჩვენში ძლიერ ნაკლებად გახლავს. ლიბერალები ფიქრობდნენ ბატონ-ყმურის რუსეთიდგან პირდაპირ ევროპეიზმის მწვერვალოზე გადაებიჯებინათ და განა გასაკვირველია, რომ ამოდენა მანძილზე გადახტომა ვერ მოახერხეს და უფსკრულში ჩაიჩეხნენ? ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ ლიბერალიზმს ბევრი უგუნური მომხრე ჰყავდა, რომელთაც ჰსურდათ, ისე გაეწიათ ერთბაშად, რომ ევროპისთვისაც-კი გაესწროთ პროგრესში და ნამდვილად-კი ბარბაროსობას უქადაგებდნენ ხალხსა. საერთოდაც მთელს დასს ლიბერალებისას ერთი დიდი პრაქტიკული შეცდომა მოუვიდა. მე იმაზე მოგახსენებთ, რომ მეტის მეტად ჰბაძავდნენ ევროპას, ყოველივე იქაური იდეალურად მიაჩნდათ, რუსეთშიაც იმ გვარივე წესი და რიგი უნდოდათ შემოეღოთ ცხოვრებისა, რასაც იქ ჰხედავდნენ, უნაკლულო ეგონათ ევროპის ცხოვრება, მაგრამ ნაკლი-კი ბევრი ჰქონდა, რომელიც შეიძლებოდა თავიდგან მოეშორებინათ. ყოველმავე ამან ისე დააქვეითა და შეარყია ლიბერალიზმი, რომ ეხლა მას დიდი შესწორება სჭირია, მაგრამ მუშაკნი არსადა სჩანან, რომ ეს საქმე იკისრონ.

კონსერვატორები? იმათ შესახებ რაღა ითქმის? მე 70 წლების გასულსა და მე-80 წლების დამდეგს იმათ ცხარე ბრძოლა ჰქონდათ გამართული ლიბერალებთან, ერთხან კიდეც გაიმარჯვეს, მაგრამ ისარგებლეს განა თავიანთის გამარჯვებით? ვეჭვობ, რომ ესარგებლოთ. ისინიც უეცრად როგორღაც შეფერხდნენ. უკანასკნელს დროს კატკოვმა, ამ დაუღალავმა მებრძოლმა და ლიბერალების მკიცხველმა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა, ვის გაეკიცხა. ხოლო თუ გამკიცხველის ხმით არა ჰქუხდა კატკოვი, უიმისოდ მისი ყოფნა ყოფნა არ იყო და აი ამიტომ ბოლოს დროს, როცა ლიბერალები შემოიფანტა, უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებათაც-კი წაეკინკლავებოდა ხოლმე, ვითომ იქაც ჰპოულობდა რაღაც ლიბერალიზმს და იმას ებრძოდა. ეს ამბავი სწორედ საცინელი და სამწუხარო ამბავი იყო. გამოტეხილი რომ ვსთქვათ, ამ შემთხვევაში თავისით-კი არ ჰმოქმედებდა კატკოვი, სხვის ჩაგონებით, სხვის ჩვენებით ჰმოქმედებდა, რადგან თითონ დაუძლურდა გონებით და ვეღა სცნობდა, რა იყო საჭირო რუსეთისთვის და რა არა.

კატკოვის ამ ყოფის დროს—კონსერვატორებმა დანაწილება დაიწყეს და მის სიკვდილს შემდეგ ხომ ჟარესად დაიქსაქსნენ. ამ დროს თავი იჩინა „თავად-აზნაურულმა კონსერვატიზმა“ თავ. მეშჩერსკისამ, იმნაირმა კონსევატიზმა, რომ კატკოვსაც-კი გააჟრჟოლებდა, ვისმეს რომ ეთქვა, ეს კონსერვატიზმიც ძალაა და მნიშვნელობა აქვსო. კონსევატიზმის სახელით თავ. მეშჩერსკიმ თავად-აზნაურთა მრავალი სხვა-და-სხვა უფლება დაასახელა და მათ დაკმაყოფილებას თხოულობდა, ხოლო მთელის სახელმწიფოს საჭიროებათა შესახებ-კი ხმაც არ ამოუღია, ამისი ხსენებაც არა ყოფილა, მაგრამ ყვირილი მამულის სიყვარულზე მრავალი იყო და ათასნაირი. მე არცა მწამს და არც დავიჯერებ, რომ ამ მიმართულებას მომავალი რამ ელოდდეს. რასაც არც საფუძველი აქვს, არ ძალა, ის მაგრად ვერსად ვერ მოიკიდებს ფეხსა, წვიმის წყალსავით უეცრად გაივლის, შეიძლება ჩირქიც მოსცხოს ვისმე, მაგრამ მალე-კი მოსწყდება და ვერაფერს ვერ დააზიანებს შესამჩნევად. ამასვე ჰმოწმობს ფრიად კეთილშობილური მიქცევა ჩვენის თავად-აზნაურებისა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს.

„Гражданинъ“-ის „თავად-აზნაურულს კონსერვატიზმს“ ძლიერ ცოტა მომხრეები ჰყავს. მაშ სად არიან დანარჩენი კონსერვატორები? ნუ თუ ისინი „Моск. Вѣд.“-სა და ორ სამს მის მოძმე ჟურნალ-გაზეთს დაუმოყვრდნენ? ეს გაზეთები ხომ სხვას არას აკეთებენ, იმას გარდა, რომ ჰქადაგებენ, რაც შეიძლება მეტი მფარველობა გავუწიოთ ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობასაო, თავისს თავს იქებენ და ხანდახან ოსტზეელს გერმანელებსა, ფინლიონდიელებსა და ზოგიერთს სხვა უცხო ტომის ხალხს ეკინკლავებიან და ლანძღავენ. მე მგონია, რომ კონსერვატორთა უმრავლესობა არ თანაუგრძნობს ამ ვითომდა „ეროვნულს პროგრამას“ და ცოტა არ იყოს კიდეცა რცხვენიან იმისი. ამ უმრავლესობას ვერ დაუჯერებია, რომ ჩვენ, ნიადაგ უკან ჩამორჩენილთ ევროპაზე, კიდეც გავასწარით იმას და უმეტესი სწავლა და წინ წასვლა აღარ არის საჭირო; იმათაც უყვართ რუსეთი, მაგრამ არ შეუძლიანთ ამასთანავე არ აღიარონ, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უმეტესად განვითარებულია, ჩვენ ბევრს რამეში უკანა ვართ ჩამორჩომილნი ჲ განათლებით ხომ ერთმანეთზე ისე შორი შორს ვიმყოფებით, როგორც ცა და დედამიწა. ეს უმრავლესობა დიდს პატივსა სცემს მთავრობასა, მაგრამ იმავე დროს დაჯერებულია, კარგად ესმის, რომ მარტო მთავრობას არ ძალუძს ყველაფრის გაკეთება, რომ საჭიროა აგრეთვე თვით საზოგადოების მონაწილეობაც, მისი უნარი და გამრჯელობა; ძვირად აფასებს უმთავრესს ბურჯსა და დედაბოძს რუსეთის ცხოვრებისას, ჰსურს მისი უკვდაობა, განვითარება, წინ-წასვლა და ერიდება უკან დახევას და ჩამორჩომას.

„Гражданинъ“-ისა და „Моск. Вѣд.“-ის მიერ შეფერხებულს ზომიერს კონსერვატორებს ჯერ-ჯერობით ფეხი ვერსად მოუკიდნიათ, ვერ გამაგრებულან და ამ დროს ახალი მიმართულება გამოჩნდა - მიმართულება ძლიერის ლიტერატორის ლ. ნ. ტოლსტოისა. არ ვიცი, მართლა ძალა აქვს ტოლსტოისა, თუ იგი მხოლოდ ეხლანდელის ზნეობრივისა და გონებრივის მისუსტების წარმომადგენელია, მაგრამ ეს კია, რომ რაღაცა მიმართულება შექმნა და დიდი გავლენაც აქვს ამ მიმართულებას.

---

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გარიგება. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 | 84 | 6 | 87 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137 | | 317½ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 07 | 6 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 234¾ | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 225 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . | — | „ | — | „ | 214¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

---

# განცხადებანი

ყვირილის ნორმალურ სასწავლებელში ითხოვება საეკლესიო რუსულ გალობის მასწავლებელი, ვისაც სურს მიიღოს თავისს თავზედ ეს შრომა, შეუძლიან მიმართოს ამავე სასწავლებლის ზედამხედველს დაბა ყვირილაში. (3—3)

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1891 годъ

НА ЖУРНАЛЪ

„ПРАКТИЧЕСКАЯ ЖИЗНЬ“.

(II-й годъ изданія).

Журналъ „Практическая Жизнь“, оправдывая свое названіе, служитъ чуткимъ безпристрастнымъ откликомъ интересовъ современной дѣловой практической жизни. Редакція употребляетъ всѣ стремленія къ тому, чтобы всякій возникающій въ жизни практическій вопросъ нашелъ-бы на страницахъ журнала вѣрный себѣ отзывъ и возможно лучшее практическое разрѣшеніе.

Въ **отдѣлѣ разсказовъ, сценъ**, и проч. редакція всегда брала сюжеты изъ жизни дѣйствительной, даже почти всегда изъ самой были.

Достаточно упомянуть содержаніе статей послѣднихъ за этотъ годъ, 32 и 33 книжекъ, чтобы ясно увидѣть, *на сколько полно и всесторонне находитъ себѣ откликъ на страницахъ журнала современная жизнь*. Въ 32 и 33 книжкахъ были помѣщены слѣдующія статьи: „Мѣры къ подъему финансовъ“, «Бѣдный кредитный рубль!», „На практическихъ началахъ“, „Міру по бичевѣ, а сахарозаводчику двухмилліонный капиталъ“, „Новыя заслуги электричества“, „Русскіе піонеры“. „Столкновеніе интересовъ города и горожанъ“, „Популяризація свода законовъ“, „Гдѣ вы наши изобрѣтатели?“, „Не слишкомъ-ли много наградъ“? (по поводу нашихъ выставокъ), „О чемъ плачутъ нефтепромышленники“, „Къ развитію нашей торговли съ Персіей“, „Посредники хлѣбной торговли“, „Базарное зло“. Отдѣлъ Судебный. Библіографія и т. д. и т. д.

Стремясь къ улучшеніямъ журнала, редакція озаботилась приглашеніемъ многихъ новыхъ талантливыхъ сотрудниковъ.

Въ годъ выходитъ всего, исключая приложеній, 33 книжки.

**Въ будущемъ году предназначено къ разсылкѣ разныхъ книгъ подписчикамъ ВЪ ВИДѢ ПРИЛОЖЕНІЙ на сумму, по стоимости книгъ въ отдѣльной продажѣ, столько-же, какъ и въ 1890 г., именно на 12 р. 75 к.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

**съ доставкой и пересылкой**

безъ приложеній на полгода 3 рубля; на годъ 6 рублей; съ приложеніями на годъ 9 руб.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ, въ редакціи журнала, Б. Морская, № 39 и въ МОСКВѢ, на Тверской, уголъ Садовой, д. Хомяковыхъ.

Редакторъ-издатель **Ѳ. В. Езерскій.**

---

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) კედლის კალენდარი 1891 წ., რომელიც შეიცავს საკალენდრო ცნობებს მართლ მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომხეთა ეკკლესიებისას, ცნობებს აგრეთვე საქართველოს საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდგან, ანგარიშს მზის ამოსვლა - ჩასვლისას და მთვარისას, საუკეთესო ადგილებს, ამოკრებილს დამაკვირდიდგანა და ნაკვესებიდგან, შემოკლებულს ქართულს სამზარეულოს და ზოგიერს სასარგებლო ცნობას. . . . . „ 40

2) იგივე სტოლზე დასადგმელი შემკობილი სურათი . . . . . . . „ 80

3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით „ 80

4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . 1 25

5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . „ 15

6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . . . . . „ 25

7) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . . . . . 1 „

8) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა . . . . . . „ 60

9) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . . . . . . „ 15

10) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა . . . . 1 „

11) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . . 3 50

12) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50

13) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . . „ 50

14) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . „ 75

15) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . „ 20

16) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . „ 20

17) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV „ 60

18) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილებით. ხუსკივაძისა. . . . . „ 20

19) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. . . . . . „ 20

20) „ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა . . . . . „ 25

21) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა. „ 10

22) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . „ 20

23) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა. . . „ 40

24) ქანნა—დარკ . . „ 5

25) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . „ 5

ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა.

Тифлисъ, Дов. цен. 17-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.